

ISSN 1987-6890

გვერდობა

EKONOMISTI

*საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი*

*International Scientific - Analytical Journal*

4

2 0 1 0

UDC33

ე-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ივლისი  
აგვისტო

# 4

2010

**მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე**

**სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია**

საპარტოვო მენეჯერებთან ერთად აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:  
**ვლადიმერ კაკაბა, ავთანდილ სილაბაძე, ლეო ჩიქავა**

ეკონომიკურ მენეჯერებთან ლოტორები:

იური ანანიავილი, როზეტა ასათიანი, კლიმენტი ანელავილი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერულავა, ვახტანგ ბურღული, რევაზ ბოგოხია, მიხეილ თოქაჯიანი, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატავილი, იაკობ მისხია, ელგუჯა მემვაბიშვილი, ბიორბი კაკაბა, შანგი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჯითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

აკადემიური ლოტორები:

ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ლია თოთლაძე (კანონმდებელი მდივანი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, ნოდარ ხაჭაბუძე, ელენე ხარაბაძე, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, კანონმდებელი მდივანი უცხოეთში), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანტანას მასტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკიტნიკოვი (აშშ), სლავომირ კატრიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი ჰერმანი (პოლონეთი).

---

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

---

თბილისი

Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

International Scientific-analytical Journal

Published from January 2009

July  
August

# 4

2010

Editor-in-chief

**Ramaz Abesadze**

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

**Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.**

ACADEMIC DOCTORS:

**Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).**

FOREIGN MEMBERS:

**Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstius (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patricki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)**

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

**Tbilisi**

**ს ა რ ჩ ე ვ ი**

<b>მნიშვნელოვანი ღონისძიებები</b>	<b>5</b>
<b>რეგიონული ეკონომიკა</b>	
<i>ვახტანგ ბურდული</i> – საქართველოს რეგიონებში რეალური სექტორის განვითარების გზები	12
<b>ეკონომიკური თეორია</b>	
<i>Альфред Кураташвили</i> – Постсоветская общественно-государственная система и ее специфические особенности	19
<i>Анзор Кураташвили</i> – Дерегулирование экономики – как составная часть системы государственного регулирования	24
<b>საქართველოს ეკონომიკა</b>	
<i>იზა ნათელაური, ნინო ნათელაური</i> – საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა	28
<i>თინათინ ქურდაძე</i> – ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში	32
<b>ბანათლების ეკონომიკა</b>	
<i>როლანდ სარჩიშელია, ლია ჩარეჭიშვილი</i> – მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში	35
<b>აუდიტი და კონტროლი</b>	
<i>ციცია ბენაშვილი</i> – შიდა აუდიტისა და კონტროლის როლი დარგის განვითარებაში (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მაგალითზე)	44
<b>ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება</b>	
<i>ეკატერინე მეყანწიშვილი</i> – ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები	48
<b>მენეჯმენტი</b>	
<i>Ioseb Masurashvili</i> – Restructuring Education in Management	53
<b>ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტის მინიჭება</b>	57
<b>ეკონომიკური ბამოცემები საზღვარგარეთ</b>	57
<b>შეცდომის ბასწორება</b>	62
<b>ინფორმაცია</b>	62
<b>ღანართი</b>	65

**C O N T E N T S**

<b>SIGNIFICANT MEASURES</b>	<b>5</b>
<b>REGIONAL ECONOMY</b>	
<i>Vakhtang Burduli</i> – The Ways of Development of Real Sector in Georgian Regions	<b>12</b>
<b>ECONOMIC THEORY</b>	
<i>Alfred Kuratashvili</i> – Post-soviet Social-state System and its Specific Features	<b>19</b>
<i>Anzor Kuratashvili</i> – Decontrol of Economy – As the Component of the System of State Regulation	<b>24</b>
<b>ECONOMY OF GEORGIA</b>	
<i>Iza Natelaury, Nino Natelaury</i> –The International Competitiveness of Georgia	<b>28</b>
<i>Tinatini Kurdadze</i> – Problems of Money and Credit Policy in Georgia	<b>32</b>
<b>EDUCATION ECONOMY</b>	
<i>Roland Sarchimelia, Lia Charekishvili</i> – Problems of Science and Education Economy in Georgia	<b>35</b>
<b>AUDIT AND CONTROL</b>	
<i>Tsiala Benashvili</i> – The Role of Internal Audit in the Sector Development (A Case of Health Protection in Georgia)	<b>44</b>
<b>STATE REGULATION OF ECONOMY</b>	
<i>Ekaterine Mekantsishvili</i> – Parameters and State Regulation of Economy	<b>48</b>
<b>MANAGEMENT</b>	
<i>Ioseb Masurashvili</i> – Restructuring Education in Management	<b>53</b>
<b>AWARDING THE SCIENTIFIC PRIZE OF INSTITUTE</b>	<b>57</b>
<b>ECONOMIC EDITIONS ABROAD</b>	<b>57</b>
<b>CORRECTION OF MISTAKE</b>	<b>62</b>
<b>INFORMATION</b>	<b>62</b>
<b>ANNEX</b>	<b>65</b>

**მნიშვნელოვანი ღონისძიებები**

**ღირსშესანიშნავი თარიღები**

2010 წლის 8 – 9 ივლისს მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აღინიშნა **პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავი.**

ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს მიეძღვნა **საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია** თემაზე – „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“ და **ღირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული საიუბილეო სხდომა.**

8 ივლისი მთლიანად დაეთმო საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთის არაერთი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრის 140 წარმომადგენელი რუსეთიდან, პოლონეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩეხეთიდან, ყაზახეთიდან, ბულგარეთიდან, ლიტვადან, უკრაინიდან და სხვა.

კონფერენცია გახსნა, სტუმრებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე.**

პლენარულ სხდომაზე გამომსვლელების ძირითად თემას წარმოადგენდა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების მიმართულებებისა და გზების ძიება.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვლადიმერ პაპავა**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დიმიტრი სოროკინი**, თსუ კათედრის ხელმძღვანელი **იური ანანიაშვილი**, თსუ კათედრის ხელმძღვანელი **ნოდარ ხადური**, ემდ, პროფ. **თეიმურაზ ბერიძე**, თსუ სრული პროფესორი, ემდ, **ელგუჯა მექვაბიშვილი**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ომარ ქეშელაშვილი**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ემდ, პროფ. **თამაზ კუნჭულია** და სხვები.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა **ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, ბიზნესის, სექტორული ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ეკონომიკის** სექციებში.

შემდეგ გაიმართა კონფერენციის მუშაობის შეჯამება. სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა, ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეებმა ემდ, პროფ. **ალფრედ კურატაშვილმა**, ემდ, პროფ. **გიორგი ბერულავამ**, ემდ **ვახტანგ ბურდულმა**, ემკ **ნანული არევაძემ**, ემკ **თეა ლაზარაშვილმა** სექციების მუშაობის შეჯამებისას ყურადღება გაამახვილეს განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებულ იმ ეკონომიკურ პრობლემებზე, რომლებიც კონფერენციის მსვლელობის დროს წამოჭრეს მეცნიერებმა. სექციის ხელმძღვანელებმა მალა-

ლი შეფასება მისცეს გამომსვლელთა მოხსენებებსა და მთლიანად კონფერენციის საქმიანობას.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ** კონფერენციის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ კონფერენციის მასალების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები, რომლის მომზადება დაევალა რეკომენდაციების შემუშავებელ კომისიას (ხელმძღვანელი ემდმ. ვ. ბურდული).

9 ივლისს გაიმართა ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

სხდომა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ**.

ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ** მოხსენებაში – “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 65 წლისაა” ვრცლად ისაუბრა ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე ინსტიტუტისა და მისი კოლექტივის მიერ განვლილ გზაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ემდ, პროფ. **ლეო ჩიქავამ** თავის მოხსენებაში – “პაატა გუგუშვილის ცხოვრება და შემოქმედება” – ფართოდ გააშუქა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ეტაპი.

ეკონომიკის ინსტიტუტის ყოფილმა თანამშრომელმა, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ასპირანტმა, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ **იზოლდა აბაშიძემ** მოხსენებაში – “პაატა გუგუშვილი როგორც მოქალაქე და პიროვნება” ვრცლად ისაუბრა აკადემიკოს პ. გუგუშვილის განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებზე, რომლითაც იგი გამოირჩეოდა თავის თანამედროვეთა შორის.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რევაზ გოგოხია, როლანდ სარჩიშვილი**, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: **რევაზ ჯავახიშვილი, ნანული არევაძე, ჯემალ ხარიტონაშვილი, მერაბ ხურცილავა, ლამარა მინდორაშვილი, ზაურ თოლორდავა, ვაჟა ბერიძე, მერაბ კელენჯერიძე** და სხვები.

დამსწრე საზოგადოებას გაეცნო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** მოლოცვა.

კოლექტივს ღირსშესანიშნავი თარიღები მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**.

საიუბილეო თარიღები ინსტიტუტის კოლექტივს ასევე მიულოცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, სრულმა პროფესორმა **ელენე ხარაბაძემ** და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველმა მოადგილემ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ემდ, პროფ. **დimitრი სოროკინმა**.

ინსტიტუტის კოლექტივს საიუბილეო თარიღები მიულოცა თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ემდ, პროფესორმა **ოთარ გამყრელიძემ**.

სხდომას გაეცნო აგრეთვე უცხოეთში მცხოვრებ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი ნამდვილი წევრის **მიხეილ როკეტლიშვილისა** და აკადემიური დოქტორის **დავით კურტიანიძის** მისაღმება.

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, დოქტორ **სერგო მელაძის** მოლოცვა სხდომას გააცნო ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **გულნაზ ერქომაიშვილმა**. ხოლო, გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის რექტორის **გიორგი მათიაშვილის** მოლოცვა სხდომას გააცნო ამ უნივერსიტეტის დეკანმა ემდ, პროფ. **ლალი ჩაგელიშვილმა**.

პროფესორმა **რამაზ აბესაძემ** გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, საზღვარგარეთელ სტუმრებს და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის საიუბილეო ღონისძიებებში და წარმატებები და კეთილდღეობა უსურვა მათ.

ინსტიტუტში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიცა “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული – **ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე**” (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფესორი **რამაზ აბესაძე**) და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი “**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 1944-2009**” (რედაქტორი პროფესორი **თინათინ ჩხეიძე**), რომელიც მოგვითხრობს ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის და მისი თანამშრომლების მოღვაწეობის შესახებ.

**თინა ჩხეიძე**

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

**ლინა დათუნაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი  
ემკ, დოცენტი



## SIGNIFICANT EVENTS

July 8-9, 2010 were marked by remarkable measures dedicated to the 65<sup>th</sup> anniversary since the foundation of Paata Gugushvili Institute of economics and the 105<sup>th</sup> birth anniversary of academician Paata Gugushvili.

To these remarkable events were also dedicated the International scientific practical conference “Actual Economic Problems at Current Stage of Global Development” and joint jubilee session of the board and scientific council.

July 8 was thoroughly dedicated to the work of international scientific-practical conference. In the work of the conference took part 140 representatives from scientific and training centers of Georgia and foreign countries including Russia, Poland, Azerbaijan, Czech, Kazakhstan, Bulgaria, Lithuania and Ukraine.

The conference was opened and the guests and the present were greeted by the chairman of scientific-organizational committee, director of Paata Gugushvili Institute of Economics, doctor of economic sciences, professor Ramaz Abesadze.

The main issue of Plenary session was current situation of economy of countries with transition to market economy including Georgia and the of its development trends and ways.

On plenary session speeches were made by: corresponding member of National Academy of Sciences of Georgia Vladimir Papava, first deputy-director of the Institute of economics of Russian Academy of Sciences, corresponding member of RAS Dmitri Sorokin, chief of TSU department Iuri Ananiashvili, chief of TSU department Nodar Khaduri, doctor of economic sciences, professor Teimuraz Beridze, full professor of TSU, doctor of economic sciences Elguja Mekvabishvili, academician of the Georgian Academy of agricultural science Omar Keshelashvili, corresponding member of Georgian Academy of agricultural sciences, doctor of economic sciences, professor Tamaz Kunchulia etc.

After the plenary session the work of the conference was Continued in sections of economic theory, macroeconomics, business, sectoral economy, finances and international economy.

Then the work of the conference was summed up. The chiefs of scientific sections, the chiefs of departments of the Institute, doctor of economic sciences, professor **Alfred Kuratashvili**, doctor of economic sciences, professor **Giorgi Berulava**, doctor of economic sciences, professor **Vakhtang Burduli**, candidate of economic sciences **Nanuli Arevadze**, candidate of economic sciences **Tea Lazarashvili** in the process of summing up the work of sessions underlined those economic problems existing at current stage of development, emphasized by the scientists. The chiefs of the sections assessed highly the speeches and the activity of the Conference as a whole.

Doctor of Paata Gugushvili Institute of Economics doctor of economic sciences, professor **Ramaz Abesadze** assessed highly the work of the Conference and noted that on the basis of Conferencematerials would be worked out adequate recommendations and propositions the preparing of which was proposed to the recommendation commission (Chief, doctor of economic sciences, professor **Vakhtang Burduli**).

In July, 9 was held jubilee meeting dedicated the 65-th anniversary since the foundation of the Institute and the 105-th birth anniversary of academician Paata Gugushvili.

The meeting opened director of the Institute doctor of economic sciences, professor **Ramaz Abesadze**. In his report – “Paata Gugushvili Institute of economics is 65 years” old he widely spoke about the way of the Institute and its staff since its foundation to present days.

Corresponding member of the Academy of sciences of Georgia, doctor of economic sciences, professor **Leo Chikava** in his report – “The life and activity of Paata Gugushvili” he observed main stages of life and activity of a famous scientist and public figure.

The former scientific worker of the Institute post graduant of academician Paata Gugushvili former chief of department of the Institute of sociology and demography **Izolda**

**Abashidze** in her report – “Paata Gugushvili as a citizen and a person” spoke about significant personal qualities of academician **Paata Gugushvili** who was distinguished among his contemporaries.

To the memory of Paata Gugushvili spoke doctors of economic sciences, professors **Revaz Gogokhia**, **Roland Sarchimelia**, doctor of juridical sciences, professor **Otar Gamkrelidze**, candidate of economic sciences **Revaz Javakhishvili**, **Nanuli Arevadze**, **Jemal Kharitonashvili**, **Merab Khurtsilava**, **Lamara Mindorashvili**, **Zaur Tolordava**, **Vazha Beridze**, **Merab Kelenjeridze** etc.

Academician **Tamaz Gamkrelidze** President of National Academy of Sciences of Georgia send a congratulation to the Institute.

Academician **Roin Metreveli**, academic secretary of social science department of National Academy of Sciences of Georgia congratulated the remarkable date.

Dean of economic and business faculty of TSU, full professor **Elene Kharabadze** and first deputy-director of the Institute of Economics of RAS, corresponding member of RAS, professor **Dmitri Sorokin** congratulated the staff of the Institute with jubilee celebrations.

Chairman of scientific council of tinatin tsereteli Institute of state and Law, doctor of juridical science, professor **Otar Gamkrelidze** congratulated the staff of the Institute with jubilee data.

At the meeting was read the congratulations of foreign member of National Academy of Sciences **Mikhail Roketlishvili** and academic doctor **David Kurtanidze** living abroad.

**Gulnaz Erkomaishvili**, chief of Public Relation Service of Training University of Economics and Law of Georgia read the congratulation of doctor of economic sciences, professor **Sergo Meladze**, Rector of the University, and the dean of Guram Tavartkiladze University **Lali Chagelishvili** read the congratulation of Rector of the University **Giorgi Matiashvili**.

Professor **Ramaz Abesadze** sincerely thanked the presents, foreign guests and all taking part in the jubilee arrangements and wished them success and well-being.

In connection with measures held at the Institute is published the collection of conference dedicated to the 65<sup>th</sup> anniversary since the foundation of Paata Gugushvili Institute of Economics and 105<sup>th</sup> birth anniversary of academician Paata Gugushvili “Collection of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 65<sup>th</sup> Anniversary Since the Foundation of Paata Gugushvili Institute of Economics and the 105th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili – **Actual Economic Problems At Current Stage of Global Development**” (editor-in-chief – doctor of economic sciences, professor **Ramaz Abesadze**) and the book dedicated to the 65<sup>th</sup> anniversary of Paata Gugushvili Institute of Economics “**Paata Gugushvili Institute of Economics. 1944 – 2009**” (editor – professor **Tinatin Chkheidze**), about the scientific and organizational activity of the Institute and its staff.

Chairman of scientific council of  
Paata Gugushvili Institute of Economics,  
professor **Tina Chkheidze**

Scientific secretary of the council  
Candidate of economic sciences, docent  
**Lina Datunashvili**

**უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენციები**

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტისა (სესუსუ) და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზებით ა/წ 26 ივნისს ჩატარდა უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია „**ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში**“.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა სრულმა პროფესორმა რევაზ მელაძემ. იგი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიზნად ისახავს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური პერსონალის და მეცნიერთანამშრომელთა მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის თანამედროვე პრობლემების ანალიზსა და შეფასებას, აზრთა გაცვლას და დაახლოებას.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტთან და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის საზღვაო აკადემიის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ), სოხუმის უნივერსიტეტის, თბილისის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა და მეცნიერთანამშრომელებმა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ: **ელგუჯა მექვაბიშვილი** (თსუ სრული პროფესორი, ეკონომიკის პრინციპების კათედრის ხელმძღვანელი); **რევაზ გველესიანი** (თსუ სრული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); **იაშა მესხია** (თსუ საერთაშორისო ბიზნესის კათედრის სრული პროფესორი); **ეთერ ხარაიშვილი** (თსუ სრული პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი); **უშანგი სამადაშვილი** (საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი).

პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა 2 სექციაში. პირველი სექცია - „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები“ (ხელმძღვანელები: აკადემიური დოქტორები: **რუსუდან სირბილაძე**, **მამუკა ხუსკივაძე**); მეორე სექცია - „ბიზნესის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები“ (ხელმძღვანელები: პროფ. **ესტატე ბოლოკაძე**, სრული პროფესორი **გულნაზ ერქომაიშვილი**).

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრმა კონფერენციის მასალების საფუძველზე გამოსცა სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ (რედაქტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე).

სექციებში მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა მრგვალი მაგიდა. კონფერენციის მუშაობა წარმატებულად შეფასდა.

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტისა და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზებით ა/წ 21 მაისს ასევე ჩატარდა უნივერსიტეტთაშორისო სტუდენტთა კონფერენცია – „ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა პროფესორმა რევაზ მელაძემ. იგი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტოშორისო სტუდენტური კონფერენცია მიზნად ისახავს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა აზრთა გაცვლას და დაახლოებას.

კონფერენციის მუშაობაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის საზღვაო აკადემიის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნეს სკოლის, სოხუმის უნივერსიტეტის, თბილისის უნივერსიტეტის, უნივერსიტეტი „მეტეხის“ 67-მა სტუდენტმა და მაგისტრანტმა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ: **გ. მახარაძე** (სესსუ – III კურსი), **ლ. წვერაგა**, **ნ. პატარიძე** (თსუ –IV კურსი), **თ. ასანიძე**, **თ. გვასალია** (სესსუ – III კურსი), **ლ. გილანელი** (თსუ – III კურსი), **ა. კამლაძე**, **ბ. ჭელიძე** (სესსუ – II კურსი), **ნ. მეღვინაძე** (თსუ – III კურსი), **თ. ჭიკაძე** (სესსუ – III კურსი).

კონფერენციის მონაწილე სტუდენტები და მაგისტრანტები მრავალფეროვანი მოხსენებებით წარდგინეს მსმენელთა წინაშე. პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ მუშაობა გაგრძელდა 4 სექციაში: საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები (ხელმძღვანელი სრული პროფ. **გულნაზ ერქომაიშვილი**), ბიზნესის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები (ხელმძღვანელი სრული პროფ. **ლარისა ყორღანაშვილი**), საბაზრო ეკონომიკის პრობლემები და სამართალი, სიახლენი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. **დავით სუხიტაშვილი**), ინგლისურენოვანი სექცია (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. **მანანა ბელთაძე**).

სექციებში მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა მრგვალი მაგიდა. კონფერენციის მუშაობა წარმატებულად შეფასდა. მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტისა და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ვგიდით გამოიცა კონფერენციის მასალათა კრებული – „ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“ (რედაქტორი სრული პროფესორი **გულნაზ ერქომაიშვილი**).

*გულნაზ ერქომაიშვილი  
საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის  
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი  
სრული პროფესორი*

**რეგიონული ეკონომიკა**

**ვახტანგ ბურდული**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

**საქართველოს რეგიონებში რეალური სექტორის განვითარების ბზავი**

რეგიონული (ადგილობრივი) ინსტრუმენტების მეშვეობით ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნალური და სხვა დამხმარე სახის წარმოების განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია, მაგრამ არანაკლებ აქტუალურია ძირითადი წარმოების განვითარების მხარდაჭერა, რომლის მდგრადი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, კერძოდ, დასაქმების მაღალი დონის და ხარისხის უზრუნველყოფით. ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი სტრატეგია მუშავდება (რომელიც აისახება სხვადასხვა სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში).

სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმში გათვალისწინებული უნდა იყოს: ა) რეგიონების პოტენციალის (კერძოდ, შრომითი და ინტელექტუალური) მხედველობაში მიღებით სოფლად და ქალაქებში ტექნოლოგიების განახლება-განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიის განსაზღვრა; ბ) სოფლად და ქალაქებში არსებული გარემოებების შესაბამისად საწარმოთა ისეთი შესატყვისი ინსტიტუციური ფორმების განსაზღვრა, რომლებიც ყველაზე ეფექტიანი იქნება არსებულ პირობებში; გ) მიზანშეწონილი უცხოური კაპიტალის მოზიდვა (ძირითადად რეალური კაპიტალის სახით) და უცხოური კაპიტალის მიერ შექმნილი საწარმოების ადგილობრივ საწარმოებთან კოოპერაციის ხელშეწყობა; დ) სახელმწიფო ხელისუფლებასთან, მეწარმეთა ასოციაციებსა და პროფკავშირებთან მჭიდრო კოორდინაციაში, ტერიტორიული სახელისუფლებო ორგანოების მიერ ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის პირობების განსაზღვრა და შექმნა წარმოების ძირითადი სექტორისათვის; ე) მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფუნქციონირების წასახალისებლად დამატებითი ზომების განსაზღვრა; ვ) რეგიონებში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების დაარსება და ასეთ ზონებში საწარმოების და სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მოზიდვის და ფუნქციონირების წახალისება, მათ შორის უცხოური კაპიტალის (კერძოდ, სახელმწიფო, კერძო და კერძო-ვენჩურული) გამოყენებით.

ა) სტრუქტურული ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს და მისი რეგიონების ეკონომიკის სტრუქტურა საქმიანობის სახეების მიხედვით ჯერ-ჯერობით არ პასუხობს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნებს [4], მაგალითად, ჯერ კიდევ მცირეა დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა ხვედრი წილი. ამიტომ, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში და მის რეგიონებში საჭიროა მეურნეობის რესტრუქტურის განხორციელება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობას როგორც სოფლად, ასევე დამამუშავებელ მრეწველობაში, მომსახურების სექტორის სხვადასხვა დარგსა და რიგ სხვა წამყვან დარგში, ასევე, დამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ზოგიერთი სხვა დარგის დაჩქარებულ განვითარებას, იმისათვის, რომ წარმოების სტრუქტურა მიუახლოვდეს თანამედროვე პერიოდისათვის შე-

სატყვის ისეთ პარამეტრებს, რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა რაოდენობის პროცენტის და მათი შემოსავლების მნიშვნელოვან მატებას.

ტექნოლოგიების განვითარება ხორციელდება შემდეგი ხერხებით:

– ტრადიციული ტექნოლოგიების განახლება. რეგიონებში არსებობს ან არსებობდა რიგი ტრადიციული ტექნოლოგია, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების სფეროში, მაგალითად, ღვინის წარმოებაში, ხილის, ხორცის, რძის, ტყავის და ა.შ. გადამამუშავებაში. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ტექნოლოგიების მოდერნიზაცია, ამ დარგებისათვის ახალი ტექნოლოგიების შექმნა, სოფლად კი – საწარმოების სანედლეულო პროდუქციით უზრუნველყოფის ზრდა. ბევრი სახეობის პროდუქცია (ტყავი, ხე-ტყე, მატყლი, ხორცი) საზღვარგარეთ გადამამუშავების გარეშე გადის. ამასთან, ვიცით, რომ, რაც უფრო მაღალია გადამამუშავების სტადია, მით უფრო ბევრი ადამიანი დასაქმდება წარმოებაში და მით უფრო მეტი დამატებული ღირებულება შეიქმნება. ამიტომ, დასაქმების ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი საწარმოების ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების ბაზაზე აღდგენა (მხედველობაში არ გვაქვს ღვინის წარმოება, რომელიც კონკურენტუნარიანია და მარკეტინგული ძალისხმევით შესაძლებელია მისთვის სეგმენტების მოპოვება საზღვარგარეთის ბაზრებზე). ზოგიერთი წარმოება (მაგალითად, აბრეშუმის) ჩავარდა ნედლეულის წარმოების შემცირების (თითქმის გაწყვეტის) გამო. ამიტომ საჭიროა ფერმერების დაინტერესება ამ წარმოებებისათვის სანედლეულო პროდუქციის დასამზადებლად [3, გვ. 93-95];

– მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საწარმოების აღდგენა ან ახალი პროფილის მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა. შეწყდა ან პრაქტიკულად შეწყდა მრავალი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს მუშაობა, რომელთა აღდგენა საჭიროა ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოზიდვისა და ამჟამად უმუშევარი (ან სხვა საქმიანობით დაკავებული) პერსონალის გადამზადების ბაზაზე;

– მაღალი და საკვანძო (ფარმაკოლოგია, ბიოტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები და სხვა) ტექნოლოგიების შემოზიდვა და ათვისება.

ახალი ტექნოლოგიების შემოზიდვა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ხერხით შეიძლება: ადგილობრივი მეწარმეების მიერ ტექნოლოგიების პირდაპირი შესყიდვა (მათი ათვისებისა და ამოქმედებისათვის ძირითადი სექტორის მეწარმეებს ხელი უნდა შეუწყონ დამხმარე სექტორის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა); ლიცენზირებული ტექნოლოგიების შესყიდვა (ე.ი. ისეთი ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური პროცესების, რომელთა გამოყენებისათვის საჭიროა სალიცენზიო უფლების შექმნა); ფრანჩაიზინგის მეშვეობით; ტრანსეროვნული კორპორაციების ან სხვა უცხოური კომპანიების საწარმოების მოზიდვით.

ტექნოლოგიების არჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: რეგიონებში არსებული შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალი (მათ შორის დასაქმებულები მორალურად გაცვეთილ და თანამედროვე პირობებში არასრულფასოვან ტექნოლოგიებზე); სამუშაო ძალის გადასამზადებლად (განსაკუთრებით უმუშევრების გადამზადების ან მომზადებისათვის) ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით შესაბამისი ცენტრების შექმნის აუცილებლობა ან, მსხვილი კომპანიის შემთხვევაში, გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება კომპანიის ხარჯებით, საჭიროების შემთხვევაში ამ მიზნისათვის მისი წახალისება სახელმწიფო ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით; წინასწარ უნდა განისაზღვროს რეგიონების, მთლიანად ქვეყნის და უცხოური ქვეყნების ბაზრებზე შესა-

ბამისი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობები; სოფლად ასევე საჭიროა ბუნებრივი პირობების გათვალისწინება ყოველ რეგიონში და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის რესტრუქტურისაციის, შრომის ნაყოფიერების და ტექნოლოგიების მწარმოებლურობის ამაღლებისა და მეურნეობების შემდგომი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის საკონსულტაციო ცენტრების შექმნა (რეგიონულ ცენტრებში და, საჭიროებისამებრ, რეგიონების სხვა ქალაქებში).

ბ) 2008 წლისათვის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 260643 სუბიექტი [1, გვ. 294, 295], მათ შორის 256938 კერძო სამართლის სუბიექტი. კომერციული იურიდიული პირების ოდენობა შეადგენდა 68298 ერთეულს, მათ შორის – 2442 სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება; 185 კომანდიტური საზოგადოება; 62587 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 1939 სააქციო საზოგადოება, 1165 კოოპერატივი. რეგისტრირებული იყო ასევე 172286 ინდივიდუალური საწარმო. საინტერესოა ის, რომ ქ. თბილისზე მოდის კომერციული იურიდიული პირების რაოდენობის თითქმის ნახევარი – 123395. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს რეგიონებს ნაკლები ყურადღება ექცევა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციისას, ვიდრე დედაქალაქს, რაც აფერხებს მათ თანამიმდევრულ განვითარებას.

რა თქმა უნდა, წარმოების ინსტიტუციურ ორგანიზაციას არეგულირებს თვითონ ბაზარი. მაგრამ შრომის ეფექტიანობისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, დასაქმების ზრდის უზრუნველყოფის პირობებში, საჭიროა რეგიონული ხელისუფლების, მრეწველთა ასოციაციებისა და პროფკავშირების მხრიდან გარკვეული შეთანხმებული კოორდინაცია როგორც საწარმოების ინსტიტუციური ორგანიზაციის სფეროში, ასევე საწარმოებს შორის (დამხმარე სექტორის საწარმოების და ორგანიზაციების ჩათვლით) ინსტიტუციური ურთიერთობების ორგანიზაციის სრულყოფაში.

შრომის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფა ქალაქებში უფრო ხელსაყრელია შედარებით მსხვილი საწარმოების პირობებში, სადაც უფრო ადვილია ახალი ტექნოლოგიების ათვისების და ახალი ცოდნის მიღების მექანიზმის შექმნა. ამასთანავე, ღია სააქციო საზოგადოებების აქციების გავრცელება (როგორც მსხვილ ინვესტორებზე, ასევე, სხვადასხვა ხერხით, მოსახლეობაზე, განსაკუთრებით შესაბამის საწარმოებში მომუშავეებზე აქციების წილის მიყიდვით) რეგიონებს კონკურენციის მიღწევისა და მისი პერმანენტული შენარჩუნების დამატებით საბაზრო ბერკეტს აძლევს (რადგანაც, ღია სააქციო ბაზრის არსებობის შემთხვევაში, აქციების ფასი უფრო საგრძნობლად მერყეობს საწარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის შესაბამისად, რაც აიძულებს მწარმოებებს, ტექნოლოგიების განახლებისა და ათვისებისათვის ჩაატარონ რეგულარული დონისძიებები). ამასთან, მსხვილ საწარმოებს (როგორც სააქციო საზოგადოებებს, ასევე სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისას) შეუძლიათ მრავალი საშუალო და მცირე საწარმოს დასაქმება, კერძოდ, ამჟამად მსოფლიოს მსხვილ კორპორაციებში მიმდინარე აუტსორსინგის პროცესის გათვალისწინებით, ასევე, დამხმარე არასაფინანსო ორგანიზაციების (ტექნოლოგიების განახლება, რემონტი, რეაბილიტაცია და სხვა) გამოყენებით. მნიშვნელოვანი უნდა იყოს საშუალო და, განსაკუთრებით, მცირე საწარმოების რაოდენობა მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად (სხვადასხვა სახის პროდუქციის გამოშვება, განსაკუთრებით სასურსათო, ავეჯის, მსუბუქი მრეწველობის, მომსახურების და გართობის სფეროს, გრძელვადიანი მოხმარების საგნების რემონტის და სხვა). განშტოებული საშუალო და მცირე საწარმოების და ორგანიზაციების გარეშე, მათი სათანადო ინსტიტუციური სტრუქტურა

ტურიზმით საქმიანობის სფეროების მიხედვით, შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და ქვეყანაში დასაქმების და საქონელბრუნვის მაღალი დონის უზრუნველყოფა. საშუალო და, განსაკუთრებით, მცირე საწარმოები უფრო მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ შესაბამის დამხმარე ორგანიზაციებთან (საფინანსო ფონდებთან, ბიზნესის ინკუბატორებთან, საკონსულტაციო და ინჟინერინგულ ფირმებთან).

სოფლად, საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ბუნებრივი და რთული რელიეფური პირობების გამო, სხვადასხვა კულტურის და საქონლის ჯიშის არსებობისას, ასევე საჭიროა ინსტიტუციურ სტრუქტურებზე დაკვირვება და საჭირო ინსტიტუციური ურთიერთობების რეგლამენტაცია. მაგალითად, თუ ერთგვაროვანი კულტურა არსებობს დიდ ფართობზე (მაგალითად, ყურძენი – კახეთში, ხორბალი – შიდა ქართლში), რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილია კოოპერაციების დაარსება (რაც ხელს უწყობს ტექნიკის და სასუქის უფრო ეფექტიან გამოყენებას, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, ნედლეულის გადამამუშავებას). მცირე ფერმერული მეურნეობები ასევე შეიძლება იყოს მაღალეფექტიანი, განსაკუთრებით დამხმარე (საკონსულტაციო, ბუნებრივი სასუქის გადამამუშავების, ტექნიკური მომსახურების, ასევე მარკეტინგული და სხვა საქონელწარმოების) ორგანიზაციების არსებობის პირობებში. საქართველოს ბევრ რეგიონში, არსებული რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ასევე მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარება მათი ფუნქციონირების შესაბამისი დამხმარე ორგანიზაციების ხელშეწყობით.

გ) ისეთი მცირე ქვეყანა, როგორც საქართველოა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ბევრ მაღალტექნოლოგიურ და საკვანძო დარგში საკუთარ მეწარმეთა ძალებით საწარმოების შექმნას. მრავალ დარგში, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის შემცირების თანამედროვე პირობებში, საბოლოო კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებისათვის საჭიროა მრავალი კორპორაციული საწარმოს, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევა. ამიტომ, რიგ დარგში მიზანშეწონილია უცხოური რეალური კაპიტალის მოზიდვა რეგიონული თავისებურებების, ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით. მაგალითად, თბილისში არსებობდა ტელევიზორების ქარხანა, ქუთაისში – სატვირთო ავტომანქანების და, ასევე, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების წარმოების ქარხნები. ამ ქარხნების ბაზაზე (ტერიტორია; დარჩენილი პერსონალის, რომელიც ახლა სხვა საქმიანობითაა დაკავებული, გადამზადება და ახალი პერსონალის მომზადება) შეიძლება – პირველში, თანამედროვე ვიდეოსაშუალებების და მეორეში, მოქნილი ტექნოლოგიების საფუძველზე – სხვადასხვა ტიპის მსუბუქი მანქანების წარმოება მათი აღდგენით უცხოური რეალური კაპიტალის (განსაკუთრებით ტრანსეიროვნული კორპორაციების საწარმოების) მოზიდვის საფუძველზე (შეიძლება ადგილობრივი მეწარმეების წილობრივი მონაწილეობითაც). მსგავსმა საწარმოებმა, აუტსორცინგის პროცესის ფარგლებში, შეიძლება კოოპერაციული ურთიერთობები დაამყარონ მრავალ ადგილობრივ მცირე საწარმოსთან (რაც შეამცირებს ორივე მხარის ტრანსფორმაციულ და ტრანსაქციულ დანახარჯებს). აუტსორცინგის მექანიზმი ასევე ითვალისწინებს ისეთ თანამშრომლობას, როდესაც მცირე ქვეყნის საწარმოებს გადაეცემა საბოლოო პროდუქტისათვის საჭირო რიგი კვანძისა და დეტალის წარმოება. მაგალითად, ასეთი ურთიერთობები აქვს საფრანგეთის “რენო“-ს საავტომობილო კორპორაციას სლოვენის საწარმოებთან. ტრანსეიროვნული კორპორაციის ქვეყანაში დაარსებისას, შესაბამის ხელშეკრულებაში უნდა დაიდოს პირობა, რომ ქარხანაში მომუშავეთა უმრავლესობა იქნება ადგილობრივი წარმოშობის (მაგალითად, ასეთი ხელშეკრულება დაიდო კორპორაცია “პუმა“-ს და აჭარის ხელი-



სუფლებას შორის, რომელშიც ჩადებულია პირობა, რომ რეგიონში დაარსებულ ტრანსპორტული კორპორაციის საწარმოში ადგილობრივი მომუშავეთა წილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 90%). უცხოური კომპანიებთან თანამშრომლობის სხვა ხერხია ფრანჩაიზინგი, როდესაც მსხვილი უცხოურ კომპანია ფრანჩაიზორი (პრინციპალი) ადგილობრივ მესაკუთრეს – ფრანჩაიზის (აგენტს) უკანასკნელის მოგებიდან განსაზღვრული ანარიცხის ფასად თავისი ტექნოლოგიების და სავაჭრო ნიშნის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს [6].

**დ) ყოველ რეგიონში არსებობს გარკვეული თავისებურებანი, არის გარკვეული მოთხოვნები დასაქმების სტრუქტურის განვითარების მიმართ. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო პირობების განსაზღვრისას, ყველაზე მიმზიდველი საწარმოების არჩევაზე ორიენტირებაა საჭირო, განსაკუთრებით ისეთებზე, რომლებიც არ აბინძურებენ ბუნებრივ გარემოს, შრომა- და ინტელექტუალური და დაფუძნებულია კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ და სტაბილურ დასაქმებას.**

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება მოითხოვს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: დამხმარე ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა (საფინანსო უზრუნველყოფის და არასაფინანსო ხასიათის დამხმარე ორგანიზაციები, კომუნალური მეურნეობა და სხვა [2]) და, ასევე, სხვადასხვა ტიპის საწარმოებისათვის (მსხვილი კორპორაციები; საშუალო და, განსაკუთრებით მცირე ბიზნესი; საწარმოები, რომლებიც განთავსებულია განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში) შესაბამისი შეღავათების მინიჭება. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში, დეპრესიული რეგიონებისათვის (სადაც დასაქმების დონე უფრო მცირეა) წესდება დამატებითი ღრობითი შეღავათები.

რეგიონებში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის გამოიყენება შემდეგი ხერხები:

- უცხოური ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგიების შემოზიდვისას, პირველ რიგში, მათი შემოზიდვა თავისუფლდება განბაჟებისაგან, მიუხედავად იმისა, ეკუთვნის ის საწარმო (სადაც ინერგება ტექნოლოგიები) ადგილობრივ თუ უცხოელ მეწარმეს;

- რეგიონებში ფუნქციონირების პირველ წლებში საწარმოები ხშირად თავისუფლდებიან ადგილობრივი გადასახადებიდან; არსებობს ასევე ფასჩამოკლებები ძირითადი გადასახადებიდან (რეგიონების სახელისუფლებო ორგანოების ინიციატივით ცენტრალურ ხელისუფლებასთან ასეთი შეღავათის მინიჭების შეთანხმების პირობებში);

- ახალტექნოლოგიური საწარმოებისათვის ხშირად ადგენენ დაჩქარებული ამორტიზაციის რეჟიმს (რაც თანამედროვე პირობებში ძალიან აქტუალური ხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარებისა და ტექნოლოგიების სწრაფი მორალური ცვეთის გამო);

- საჭირო პროდუქციაზე არსებობს სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ან რეგიონული ბიუჯეტების ხარჯზე;

- ზოგიერთ შემთხვევაში, ახალი საწარმოების დაარსებისას (ადგილობრივი მეწარმეების მიერ) სახელისუფლო ორგანოები უსასყიდლოდ ფარავენ ინვესტირებულ საფინანსო სახსრების გარკვეულ ნაწილს (ან სპეციალური საბიუჯეტო მუხლებიდან, ან რეგიონული ინვესტიციური, ან სხვა ფონდებიდან);

- ექსპორტისათვის დანიშნული ზოგიერთი სახის პროდუქციისათვის გათვალისწინებულია სპეციალური სადაზღვევო გარანტიები (რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფარავენ სპეციალური ფონდებიდან); ზოგიერთ

ქვეყანაში კი – ზოგიერთი სახის საექსპორტო პროდუქციის გამოშვებისათვის დროდადრო აძლევენ სპეციალურ სუბსიდიებს [7; 10, გვ. 21];

– ფუნქციონირებად საწარმოებში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად რეგიონული სპეციალური ფონდებიდან აძლევენ პრემიებს ან დროებით ათავისუფლებენ ადგილობრივი გადასახადებისაგან (იხ., მაგ., [9]);

– სპეციალური ფონდებიდან აძლევენ შეღავათიან კრედიტებს რეალური ინვესტიციების განსახორციელებლად; ან შეღავათიან კრედიტებს აძლევს კერძო ბანკი ამ კრედიტების დაზღვევის ან სახელმწიფო გარანტიების მიცემის შემთხვევაში (რა თქმა უნდა, კრედიტის გაცემის რისკი და სადაზღვევო რისკი განისაზღვრება ჩვეულებრივი წესით);

– სოფლად, ფერმერებს ზოგიერთი პროდუქციის საწარმოებლად აძლევენ საგაზაფხულო სუბსიდიებს ან შეღავათიან სესხებს;

– გარკვეული პროდუქციის საწარმოებლად აძლევენ სუბსიდიებს უფრო მცირე ფასად პროდუქციის რეალიზაციისათვის, ან შესაბამისი პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს აძლევენ დოტაციას და სხვა.

**ე) თანამედროვე პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დანქარება იწვევს წარმოების პერმანენტული რესტრუქტურისაციის პროცესის აუცილებლობას, რის შედეგადაც უფრო გაღრმავდა რეგიონებში მცირე საწარმოების განშტოებული ქსელის არსებობის აუცილებლობა (რომლის ბაზაზე იქმნება მრავალი სამუშაო ადგილი). ამასთან, რეგიონული წარმოების დივერსიფიკაცია უნდა ხდებოდეს საშუალო და განსაკუთრებით მცირე საწარმოების ბაზაზე (მსხვილი კორპორაციების მიხედვით სპეციალიზაცია არსებობს არა მარტო რეგიონების ჭრილში, არამედ სახელმწიფოებს შორისაც, ყველაზე მსხვილი და განვითარებული სახელმწიფოების გამონაკლისით). ამიტომ მცირე ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფოები იყენებენ დამატებით მასტიმულირებელ ხერხებს. მაგალითად, მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების ისეთი მეთოდები, როგორცაა სხვადასხვა სახის ფონდში საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა და მათ მიერ მცირე ბიზნესის საფინანსო მხარდაჭერა, გარანტიების გაცემა კომერციული ბანკების კრედიტებზე (შესაძლო დანაკარგების კომპენსაციით), სადაზღვევო ფონდების (“რისკების ფონდების”) შექმნა [8, გვ. 113]. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში მართვის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები რეგიონული განვითარების სტიმულირებასა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, საფრანგეთში ადგილობრივი ორგანოები თავის რეგიონებში მთლიანად ახორციელებენ მცირე ფერმების სტიმულირებას, დიდ ბრიტანეთში კი მათ უფლებამოსილებები გააჩნიათ უცხოური კაპიტალის მოზიდვაში [8, გვ. 112], მრავალ ქვეყანაში ხდება უფასო კონსულტაციების გაწევა მცირე ბიზნესის საკითხებზე, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვაგვარი საფინანსო ფონდის, ბანკის, საჭირო პროფესიის შესწავლისათვის სპეციალური ცენტრის შექმნის სახით. გერმანიაში, აგრარული პროდუქციის გასაღების ინტენსიფიკაციის მხარდასაჭერად, ფუნქციონირებს ცენტრალური მარკეტინგული საზოგადოება და ცენტრალური საინფორმაციო-სტატისტიკური ინსტიტუტი [5, გვ. 21]. სასურსათო ბაზრის რეგულირების ხელშემწყობი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფონდები და სხვა სახის ორგანიზაციები არსებობს სხვა ქვეყნებშიც [5].**

**ე) თანამედროვე პირობებში დასაქმების ზრდის და მისი რაციონალიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები, რომელთა შორის ყველაზე ეფექტიანია რეგიონებში, მიზანშეწონილებისამებრ, ტექნოპოლისების, ტექნოპარკების ან სამრეწველო-საიმპორტო ზონე-**

ბის დაარსება. ასეთი ზონების დაარსება-ფუნქციონირებისათვის გამოიყენება დამატებითი შეღავათები და სხვა წამახალისებელი ზომები. მაგალითად, პირველი წლების ფუნქციონირებისას სახელმწიფოს და რეგიონების სახელისუფლო ორგანოები საერთოდ ათავისუფლებენ ამ ზონებში მოქმედ ინვესტორებს გადასახადებისაგან, საკუთარი სახსრებით ქმნიან კომუნალურ (საწარმოო და საყოფაცხოვრებო) ინფრასტრუქტურას და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკური დეპარტამენტი. თბილისი, 2009.
2. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეზე. თბილისი, მერიდიანი, 2006.
3. დათუნაშვილი ლ. აგრარული სფეროს რეგიონული თავისებურებანი საქართველოში. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. I. თბილისი, 2008.
4. Бурдули В. Вопросы структурной перестройки экономики Грузии и роста уровня занятости. – ეკონომისტი, 2009, №5.
5. Добросоцкий В. Государственное регулирование продовольственного рынка (зарубежный опыт). – МЭМО, 2000, №9.
6. Ляско С. Транснациональные издержки френчайзинговых и лицензионных контрактов. – Вопросы экономики, 2002, №9.
7. Жуков С. Роль государства в сотворении южнокорейского чуда. – Российский экономический журнал, 1993, №5.
8. Котилко В., Левитская Е. Методы регулирования территориального развития. – Экономист, 1992, №1.
9. Одинцова А. Территориальное управление во Франции. – ВЭ, 1991, №5.
10. Семенова Е. Возможности инновационного типа развития. – Экономист, 2006, №3.

*Vakhtang Burduli*

*Doctor of Economic Sciences*

## THE WAYS OF DEVELOPMENT OF REAL SECTOR IN GEORGIAN REGIONS

### Summary

In the article the expediency of working out of strategy of development of basic sectors of economy in the context of regions is shown. A number of these such strategy are described, to wit: the determination of ways of renovation of technologies; the determination of the most expedient of institutional forms of organization of production in the town and country; the ways of distribution of expediency forms of foreign capital in the country; the creation of favourable investment climate in the conditions of co-ordination of local authorities with State authorities, associations of undertakers and trade unions; the determination of supplementary measures for stimulation of middle and small business; the foundation of special economic zones in some regions.

პოსტსოციალისტური სისტემა

Альфред Кураташвили  
Доктор экономических наук, профессор

ПОСТСОВЕТСКАЯ ОБЩЕСТВЕННО-ГОСУДАРСТВЕННАЯ СИСТЕМА  
И ЕЕ СПЕЦИФИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ

Постсоветская общественно-государственная система характеризуется специфическими особенностями, которые имеют качественное новое содержание, ибо данная система радикально отличается от всех имеющихся до нее систем, несмотря на ее отдельные, вполне естественные, сходства с другими общественно-государственными системами.

Заслуживает особо быть отмеченным, что постсоветская общественно-государственная система является результатом того контрреволюционного переворота, который стал двигателем формирования качественно новых процессов, вызвавших возникновение новой политической системы, которую можно квалифицировать как – уродливую общественно-государственную систему.

Думается нет особой необходимости доказывать, что псевдосоциализм, который имел место в последние годы существования Советского Союза, объективно требовал радикальных – революционных – перемен, направленных на построение и эффективное функционирование истинно человеческого общества и государства, о чем я неоднократно писал, и что я многократно обосновывал еще в 70-х годах и в начале 80-х годов XX века.

Следовательно, я писал именно о необходимости революционных изменений в направлении построения истинно человеческого общества и государства, призванного служить интересам каждого человека.

*Однако, я всегда был против контрреволюционного возвращения назад к капитализму, оплодотворенному на почве псевдосоциализма, с «реставрацией» господства прибыли, денег, капитала в обществе и в государстве.*

5. И. К. Ковзанадзе, Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформационных стран, М., 2005.

*Tinatin Kurdadze*  
Academic Doctor of Economics

### PROBLEMS OF MONEY AND CREDIT POLICY IN GEORGIA

#### Summary

As a result of reforms carried out last years Georgian bank system has reached certain success though its transformation process is not yet finished. The reform is proceeding and is requiring adequate measures in accordance with advanced new bank products and formaton of adequate to international standards of financial-credit policy.

**განათლების ეკონომიკა**

*როლანდ სარჩიმელია*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*  
*ლია ჩარეჯიშვილი*  
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

**მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის პრობლემაში საქართველოში**

მეცნიერება და განათლება, როგორც სისტემა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, მოსახლეობის კეთილდღეობის სრულყოფისა და უშიშროების საიმედო პირობების შექმნაში არა მარტო აქტიურად მონაწილეობს, არამედ ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტასაც ემსახურება\*.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერებას და განათლებას არ ჰქონდა შექმნილი დამოუკიდებელი განვითარების პირობები, ხოლო “ცივი ომის” გავლენით პირველი კატეგორიის დაფინანსება, გამორჩევით, ფიზიკა-მათემატიკურ და ტექნიკური დარგებისაკენ იყო წარმართული, რასაც დაემატა მოჩვენებითი იმედებით ზრუნვა კიბერნეტიკასა და იმ დროისათვის მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ახალ მიმართულებებზე. დანარჩენი კი, მათ შორის ეკონომიკის, ფილოსოფიის, სამართლის დარგები და ა. შ. პოლიტიკური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. კინდებოდა მეცნიერების ცალკეული დარგების მნიშვნელობა, ბუნდოვანი იყო მეცნიერულ ცოდნაზე მოთხოვნის რეალური სინამდვილე და სხვ.

ყოფილ საბჭოთა კავშირს კოლოსალურად ძვირი უჯდებოდა “ცივი ომით” განპირობებული სამხედრო კომპლექსის განვითარება, რასაც მან ვეღარ გაუძლო. ანალოგიურ მდგომარეობაშია, თუმცა შედარებით ნაკლები შესაძლებლობებით, ამჟამინდელი რუსეთი, რომელიც ვერ ახერხებს ქვეყნის შიგნით წარმოშობილი “სამხედრო აგრესიის” მოთოკვას.

ამჟამადაც ყურადსადგობია რუსეთსა და საქართველოში ერთდროულად მოღვაწე (მეოცე საუკუნის ბოლო წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში) გამორჩეული მეცნიერის, ივერი ფრანგიშვილის დასკვნები, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო პატრიოტული შემართებით ჩატარებული მსჯელობებით [2], დაკავშირებული 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გარდაქმნის მსოფლიო მასშტაბის სიძნელებებსა, და იმ ვარაუდთან, რომ ინტელექტუალურმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს მატერიალური და სულიერი სამყაროს ინტეგრაცია; განსაკუთრებით იმის გამო, რომ პოსტსაბჭოთა ეკონომიკა და მეცნიერება ჩიხში აღმოჩნდა მსოფლიოში მიმდინარე რთულ პროცესებში და ვერ შეძლო რეალური სამომავლო პროგნოზების განსაზღვრა და ა. შ. [2, გვ. 41].

საერთოდ ასეა, რომ მეცნიერული ცოდნა და შესაბამისი აღმოჩენები ურთულესი შრომის შედეგია, რომლის სარგებლიანობას, გლობალიზაციის შესაბამისად, ცოდნის ეკონომიკა წარმოაჩენს და გამოგონებისაკენ მიმართავს. მეცნიერების, განათლების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) გამაერთიანებლად შეიძლება ცოდნის ეკონომიკა ჩავთვალოთ. საქართველოში მტპ-ის შედეგების მსოფლიო დონეზე აყვანა შესაბამისი ინვესტიციების დეფიციტის გამო შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი აერთიანებდა მხოლოდ მეცნიერებისა და გა-

\* წინამდებარე სტატია წარმოადგენს 2001 წ. ნაშრომში [1, გვ. 221-244] ჩვენ მიერ განხილული პრობლემის გაგრძელებას.

ნათლების სისტემებს. თუმცა იყო წინადადებები მათი ერთ სისტემაში გაერთიანების ეფექტიანობაზე. უკვე 21-ე საუკუნიდან პოსტკომუნისტურ საქართველოში განათლებასთან გაერთიანებული აღმოჩნდა მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც დარჩა მეცნიერ თანამშრომლების რიცხოვნობის 1,5-ჯერ შეკვეცის, სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური სამუშაოების შემცირების რეალობის წინაშე. ყველა ქვეყანაში ცოდნის ინოვაციების შემდგომი დაფუძნებით და ცოდნის ეკონომიკის გააქტიურებით მიმდინარეობს ცოდნის გადაცემა თაობებს შორის განვითარებული და გამარტივებული სახით (კომპიუტერიზაციის შესაბამისად), რაც ეკონომიკურია და სწავლების გაღრმავებით საქართველოში კიდევ უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერების მოწინავე დონე მსოფლიოში აღიარებულ იყო, მათ შორის ეროვნებით ქართველი მეცნიერები და სამეცნიერო სკოლები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. გამომდინარე აქედან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იმდენად მდგრადი იყო, რომ მისი სტრუქტურის ნგრევას დიდი დრო დასჭირდა, რაც შესამჩნევი გახდა 1995-1998 წლებიდან.

1995-2005 წლების საქართველოს მეცნიერ კადრთა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამ ცვლილების თანახმად, თუკი ტექნიკური დარგები მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობით დანარჩენ მეცნიერულ დარგებს წინ უსწრებდა, 2005 წლისათვის მათი ადგილი დაიკავა ჰუმანიტარულმა დარგებმა. სხვა გადაადგილებებიც შესამჩნევი გახდა: მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკური დარგების მეორედან მესამე ადგილზე გადაანაცვლება, მეოთხეზე აღმოჩნდა ბიოლოგიური და მეხუთეზე – სამედიცინო დარგები. სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დარგმა მეექვსე ადგილი დაიკავა, მეშვიდე – ქიმიურმა, მერვე – ეკონომიკურმა და ა. შ.

ნაშრომში [1, გვ. 229] დახასიათებულია 1960-2000 წლებში მეცნიერ მუშაკთა (ამჟამად შეცვლილია ტერმინით მეცნიერ თანამშრომელი) რიცხოვნობის დინამიკა, რომელიც 1960 წლის 9,1 ათასი კაციდან 1990 წელს 25,2 ათას კაცამდე გაიზარდა და 1993 წელს 27 ათას კაცს მიაღწია, ხოლო შემდეგ ისე შემცირდა, რომ 1999 წელს მისი რიცხვი 17,2 ათასი აღმოჩნდა, რაც იმ მდგომარეობის ანარეკლი იყო, რომელსაც საქართველოში ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მბრძანებლური ეკონომიკის, ხოლო შემდგომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მზადების პროცესში. მსგავსად იცვლებოდა სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობაც. ამ მსჯელობისათვის საჭირო მონაცემები საქართველოს სტატისტიკური წელიწადეულის 2000 წლის გამოცემიდან იყო აღებული, ხოლო ასეთი საშუალება შემდგომ წლებში შეიზღუდა, უკვე 2005 წლიდან კი შეუძლებელი გახდა.

ნაშრომში [3, გვ. 517-518] აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ, მბრძანებლური ეკონომიკის სინამდვილეში, საქართველოს ეკონომიკის მიერ სიახლეების აუთვისებლობა ტექნოლოგიური და ეკონომიკური უძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. შემდგომმა ეკონომიკურმა დაცემამ კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შემცირების ხელშემწყობი პირობები. თუ საბჭოთა ხელისუფლების დროს მეცნიერებაზე გაწეული საშუალო დანახარჯები მშპ-ის 4,0%-ს უდრიდა (რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მსოფლიოში), 2002-2003 წლებში დანახარჯები მეტად უმნიშვნელო იყო და მხოლოდ 0,1-0,2% აღწევდა [3, გვ. 518].

საქართველოში ამჟამადაც მეცნიერების დაფინანსება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე ხდება, რომელშიც კომერციული სტრუქტურები თითქმის არ მონაწილეობენ, რაც ქვეყანას ძლიერ უშლის ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაში [3, გვ. 518].

ეურადსაღებია [2, გვ. 36]-ში მოყვანილი მსჯელობა, რომ თვითდინებაზე მიშვებული განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, მათ შორის საქართველოში, ხოლო მათზე სისტემური აზროვნება “აფიქსირებს ეკონომიკის სწრაფვას წამიერი სარგებლის მისაღებად”. ამას კი არა აქვს უნარი, ორიენტირებული იყოს ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგების ათვისებაზე და მასში თითქმის დავიწყებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შესაძლებლობები. კიდევ უარესია, როცა სამეცნიერო პროდუქციაზე მოთხოვნა არ არსებობს, მაშინ ასეთი სისტემა “დახშულ სივრცეშია”. ასე მაგალითად, საქართველოში სუსტდება მეცნიერებისა და განათლების დონე. მისი ეკონომიკა არ არის ორიენტირებული ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგების ათვისებაზე, მცირდება მეცნიერ კადრთა რიცხოვნობა, ირღვევა მოსწავლეთა და მასწავლებელთა გონივრული თანაფარდობა. მეცნიერების გაუფასურება მიმდინარეობს როგორც “ტვინების გადინებით” უცხოეთში, ისე მეცნიერების პროფესიული დეგრადაციით, მეცნიერებაზე დანახარჯების კატასტროფული შემცირებით და ა. შ.

განვითარებადი ქვეყნებიდან “ტვინების გადინების” ძირითადი მიზეზია დაბალი ხელფასები, მეცნიერებაზე გაწეული სახელმწიფო ასიგნებათა მცირე წილი, რომელიც 1995 წელს საქართველოში მშპ-ს 0,12 %-ს შეადგენდა, ხოლო აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაშია და ისრაელში 3,0 %-ს აღემატებოდა [2, გვ. 39].

აკად. პაატა გუგუშვილი [4, გვ. 29] აღნიშნავდა, რომ იმ მიზნით, რათა სახელმწიფომ უფრო ღრმა, ორგანიზებული, გააზრებული და თანმიმდევრული გავლენა მოახდინოს ახალგაზრდობის აღზრდაზე, მაგალითად, განათლების სფეროში დიდი კაპიტალდაზღვრებით ქვეყნის მომავალ ხელმძღვანელთა მოქალაქეობრივ ფორმირებაზე, უნდა გაითვალისწინოს, რომ “ახალგაზრდობა იბრძვის არა იმდენად არსებობის საშუალებებისათვის, რამდენადაც ცხოვრების აზრისათვის”. ამიტომ, აუცილებელია ის, რომ მეცნიერებას შეექმნას პირობები ქვეყანაში ახალგაზრდობის დამაგრებისათვის. ამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება კეთილსინდისიერი მწარმოებლური შრომის პრესტიჟის ამაღლებას, მეცნიერების ეკონომიკის განვითარებას და, რაც არსებითია, ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის ფორმირებას შესაბამისი ინოვაციების გაძლიერებითა და ინვესტიციებით.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა იქონია სოციალური სფეროს უმნიშვნელოვანესი დარგის, განათლების მდგომარეობაზე. საგრძნობლად დაეცა სასწავლო პროცესის ხარისხი. გარდა ამისა, მოიშალა საგანმანათლებლო დაწესებულებების ცენტრალიზებული მმართველობის კვების პროდუქტებით, ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით. მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრმა გაუარესებამ განაპირობა განათლების ბევრი დაწესებულების დახურვა, ხოლო დანარჩენებში მოსწავლეთა და აღსაზრდელთა კონტინგენტის მნიშვნელოვანი შემცირება. ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა დღის წესრიგში დააყენა რეფორმის გატარების აუცილებლობა. მაგრამ, იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნდა სათანადო გამოცდილება და სახსრებიც რეფორმის რეალურად გატარებისთვის მეტად შეზღუდული იყო, აუცილებელი გახდა პრიორიტეტების მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავება. დაიწყო რეფორმები, რომელიც რაც შეიძლება ნაკლები სოციალური დანახარჯებით უნდა წარმართულიყო, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ეურადსაღებია ისიც, რასაც ფილიპე გოგინაიშვილი აღნიშნავდა, რომ სხვა საკვირველებასთან ერთად, “საკვირველება არის ისიც, რომ ჩვენ, ქართველები, რაც უფრო წინ მივიღვართ სწავლა-განათლებით, მით უფრო უკან ვიწვეთ საეკონომიო ბარაქიანობითა და ნივთიერი კულტურით” [5, გვ. 84].

ყოველივე ის, რაც ფილიპე გოგინაიშვილმა განათლების ეკონომიკის მიმართულების შესახებ საუკუნის წინ აღნიშნა, ამჟამადაც პოსტსაბჭოთა საქართველოს თითქოს ახალი პრობლემაა. ესაა პრაქტიკული საქმიანობისათვის შესაფერისი “სულიერი მიდრეკილების განვითარება ახალგაზრდობაში”. ამ მიმართებით სიძნელეთა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მეცნიერებისა და განათლების სისტემები ერთმანეთთან ორგანულად არ არის შერწყმული, მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა წინა პლანზე იქნეს წამოწეული მეცნიერებისა და განათლების ერთიანი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც თვითორგანიზებადი გახდება მოსახლეობის საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო მოძრაობის პროგრესული გზით წარმართვის შემთხვევაში [6].

საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობრივი სიჭარბეა მათზე ამჟამინდელ მოთხოვნასთან შედარებით. არის შემთხვევები, როდესაც უმაღლესდამთავრებულთა მომზადება ბაზრის მოთხოვნების არაადეკვატურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა, იგი სხვა ქვეყნისთვისაც არის დამახასიათებელი.

ამერიკული სასკოლო სისტემის ძირითადი ნიშანია სწავლების ღრმა დიფერენციაცია [7, გვ. 99-112]. დაწყებითი განათლების ეტაპზე ხდება მოსწავლეთა პირობითი დაყოფა “ნიჭიერებად”, “უნარიანებად” და “უუნაროებად”. ასეთი დაყოფა ეყრდნობა ე. წ. “თანდაყოლილი უნარების” თეორიას, რომლის მიხედვითაც ბავშვის ინტელექტუალური უნარიდან 80% გენეტიკურია და 20% გარემო პირობების გავლენით ჩამოყალიბებული; ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში ახალგაზრდობის პროფორიენტაციის უნარის გაღვივება სკოლიდან იწყება. ეს არის ხელისუფლების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, შექმნილია მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა.

განათლების სისტემის გარდაქმნა, მისი ორიენტირება თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებულ ზოგადსაკაცობრიო კულტურულ-საგანმანათლებლო ღირებულებებსა და ქართულ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებზე, მოითხოვს პედაგოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის ახალი მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებას, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობითი მდგომარეობის ფორმირება-დამკვიდრებას, ამ მიმართულებით ფუნდამენტური კვლევების წარმართვას.

განათლების სისტემა აგებულია უწყვეტი განათლების პრინციპზე, რომელიც, თავისი შინაარსითა და მიზნებით, გარკვეულწილად დასრულებულ პერიოდებს მოიცავს და განათლების საფეხურები ეწოდება. ცალკეული საფეხური შეიძლება შეიცავდეს განათლების დონეებს, ანუ ეტაპებსა და განათლების სახეებს. განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის [8, ISCED-97] შესაბამისად, განათლების სისტემა 6 დონედ იყოფა. ეს არის იუნესკოს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შესაბამისი განათლების დონე.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის წარმატებით გატარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა საკადრო უზრუნველყოფა როგორც მმართველობით, ისე პედაგოგიურ დონეზე. ბუნებრივია, სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებულებების კადრებით უზრუნველყოფა განისაზღვრება არა მარტო პედაგოგიურ სამუშაოზე დაკავებულ პირთა რაოდენობით, არამედ სპეციალისტთა მომზადების დონით. ზოგადად, განათლების სისტემაში რეფორმების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების სვედრითი წილი თითქმის თანაბარია 2005 წლიდან დღემდე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განათლებაზე

	2005		2006		2007		2008	
	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%
მთლიანი შიდა პროდუქტი	11 620.9	100	13 789.9	100	16 993.8	100	19 069.6	100
მ. შ. განათლება	385.2	3.31	511.2	3.71	549.2	3.23	658.4	3.45
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	3280.8	100	4464.1	100	6083.1	100	6935.2	100
მ. შ. განათლება	288.7	8.8	414.2	9.3	458.3	7.5	553.8	8.0

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხურია სკოლამდელი აღზრდა. ბოლო მონაცემებით (2006 წლის), საქართველოში ფუნქციონირებდა 1197 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც 77,9 ათასი აღსაზრდელი აღირიცხებოდა; 100 ადგილზე მოდიოდა 51 ბავშვი.

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის პირველი, მეორე და მესამე დონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებია (დაწყებითი განათლებაა პირველი დონე, საბაზო განათლება—მეორე და საშუალო განათლება—მესამე) [8]. 90-იან წლებში, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაქვეითდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი. ეს გარემოება გამოიწვია ცოდნაზე საზოგადოებრივი დაკვეთის ფაქტობრივმა არარსებობამ, რის გამოც ერთგვარად გაუფასურდა სწავლებისა და ცოდნის შექმნის მოტივაცია. შესუსტდა სასწავლო და საშემსრულებლო დისციპლინა; ენერგეტიკული კრიზისისა და სასწავლო დაწესებულებათა ზამთრისთვის მოუმზადებლობის გამო, დარღვეული იყო სასწავლო-აღმზრდელობითი ციკლის სისტემურობა. საშუალო სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები თვისებრივად ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს. მოძველებული და არაეფექტიანი იყო მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები.

ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თითქმის 90,0% სახელმწიფოა. 2008-2009 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, საქართველოში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 1467 მოსწავლე მოდიოდა (ნაცვლად 1586-ისა 2001-2002 სასწავლო წელს) [9].

სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში<sup>1</sup> 1992 წლიდან დაიშვა ფასიანი სექტორზე სტუდენტთა ჩარიცხვა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ კონტინგენტს ზემოთ. 2008-2009 სასწავლო წლის დასაწყისისათვის

<sup>1</sup> ganaTlebis saerTaSoriso standartuli klasifikatoris (ISCED-97) V done.



ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 20 სახელმწიფო და 109 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. რასაკვირველია, დიდია კერძო უმაღლესი დაწესებულებების ხვედრითი წილი. საქართველოში ამ ტიპის დაწესებულებებზე მოდის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 84,5 %. 2000/2001 სასწავლო წელს საქართველოს სტატისტიკის ორგანოების მიერ აღრიცხული იყო 26 დამოუკიდებელი სახელმწიფო, 14 მათთან არსებული ფილიალი და 146 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2000 წლის 1 ოქტომბრისათვის დიცენზირებული იყო 301 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2008-2009 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, საქართველოში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე 214 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი მოდიოდა, ნაცვლად 2001-2002 წლის 334-ისა; მაშინ, როცა 1914 წელ, მოსახლეობის 10 ათას სულზე გაანგარიშებით, ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე მოდიოდა 1 სტუდენტი, 1921 წელს – 36, 1965 წელს – 170; 1990 წელს – 190; 2000 წელს – 302 სტუდენტი.

რაც შეეხება სპეციალისტების გამოშვებას, მოსახლეობის 10 ათას კაცზე გაანგარიშებით, 2008-2009 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მოდიოდა 77 კაცი უმაღლესი დაწესებულებიდან, ნაცვლად 2001-2002 წლის 49-ისა.

სტუდენტთა რიცხოვნობამ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008-2009 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამებზე 51745 სტუდენტი შეადგინა, მაგისტრატურას ან რეზიდენტურაზე – 7111 და უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე – 7642. იმავე მაჩვენებელმა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა შესაბამისად 23155, 2553, 1431 სტუდენტი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, 2007-2008 სასწავლო წელთან შედარებით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატზე სტუდენტთა რიცხოვნობა შემცირებულია თითქმის 30%-ით; ასევე 24%-თაა შემცირებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობა. გამოშვებულია 30% მოდის სოციალურ მეცნიერებაზე, ბიზნესსა და სამართალმცოდნეობის პროგრამებზე, 23% – ჰუმანიტარულ მეცნიერებასა და ხელოვნებაზე; ყველაზე ნაკლები (4 %) მოდის სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის პროგრამებზე.

შრომის დაბალი ანაზღაურების გამო, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები შეთავსებით მუშაობენ სხვადასხვა, რიგ შემთხვევაში, რამდენიმე კერძო დაწესებულებაში, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე.

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის VI დონე სამეცნიერო კადრების მომზადებაა. 2008 წელს, საქართველოში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე 4 დოქტორანტი მოდიოდა, რაც 2000 წლის მაჩვენებლის ანალოგიურია (საქართველოს კანონის “უმაღლესი განათლების შესახებ” შესაბამისად, 2007 წლიდან დაიწყო დოქტორანტურის პროგრამები, დისერტაციის დაცვის შემდეგ ხდება მათთვის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხის მინიჭება).

დღემდე არსებული მართვის სისტემის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს მისი ერთგვარი ფუნქციური გათიშულობა, რის გამოც ინოვაციური პროცესების მართვას არა აქვს ერთიანი სისტემური ხასიათი: დაგვიანებით ხდება ახალი პროგრამულ-მეთოდური დამუშავების განზოგადება და დანერგვა, რამდენადაც მათგან მოწყვეტილია კადრების მომზადებისა და გადამზადების პროგრამები; საგამომცემლო თუ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმები არ არის შეთანხმებული განათლების ახალ შინაარსზე გადასვლის გეგმებთან და სხვ.

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მასალა მომავლის იმედს იძლევა. აქვე არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ის ფაქტიც, რომ განათლებისადმი ინტერესი ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ გაიზარდა იმ ახალგაზრდების რიცხოვნობა, რომლებიც, სხვადასხვა სასკოლო და უმაღლესი განათლების ხაზით, მონაწილეობენ საერთაშორისო პროგრამებში და განათლებას იღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლები, კოლეჯები, უმაღლესი დაწესებულებები). აქ განსაკუთრებით გამოვყოფდით საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2009-2010 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეების გაცვლითი და სადოქტორო პროგრამების დაფინანსებას, რომლის მეშვეობითაც ამჟამად ბევრი ახალგაზრდა უცხოეთში ეუფლება ცოდნას.

მეცნიერების ზემოქმედება წარმოებაზე დამოკიდებულია მისი მიღწევების გამოყენების დონეზე. მეცნიერება არა მარტო წარმოიშვა წარმოების საჭიროების საფუძველზე, არამედ მისი შემდგომი განვითარებაც განისაზღვრება ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებით, რომელიც მეცნიერების წინაშე აუცილებლად გადასატრელ სულ ახალ და ახალ ამოცანებს სახავს.

როგორც ცნობილია, მეცნიერება განვითარებას შუა საუკუნეების ინკვიზიციის პერიოდშიც კი ახერხებდა. არც ისაა გასაკვირი, რომ მეცნიერულმა იდეებმა, გამოკვლევებმა, განათლებამ, სპეციალობის დაუფლებამ და ა. შ., ამჟამადც, საზოგადოების წინსვლას არა მარტო გზა უნდა გაუკვადლოს, არამედ საჭიროა, პროგრესს მუდმივად განიცდიდეს. ეს ისაა, რასაც, უმართავადობის პირობებში, მეოცე საუკუნემდე განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი ჰქონდა. თუმცა თვითორგანიზებისა და რეგულირებისაკენ მისწრაფება წამყვან ადგილს ყოველთვის იკავებდა.

ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაშია და მიმდინარეობს ეკონომიკის რესტრუქტურისაციის უკიდურესად რთული პერიოდი, ქვეყნის მეწარმეებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა და თავისუფალი ფინანსური სახსრები ახალი სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად. მეწარმეების უმეტესობა წარმოების დასაწყებად და განსავითარებლად ცდილობს ქვეყანაში უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანას. ეს მდგომარეობა მანამ გაგრძელდება, სანამ ჩვენი წარმოების ტექნოლოგიური პოტენციალი თანდათანობით არ გაუტოლდება უცხოურს და ისეთივე სტრატეგიული მნიშვნელობის არ გახდება, როგორც საზღვარგარეთ.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ პოსტკომუნისტურ საქართველოში არ არის იმის პირობები, საწარმოებმა დაინტერესება გამოავლინონ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გამოყენებაზე. საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური დონე ბევრად ჭარბობს სამამულოს და ჯერჯერობით ჩვენი მეწარმეების თავისუფალი სახსრები მნიშვნელოვნად მწირია. აღნიშნული იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ, პირველ რიგში, ისევ სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა იზრუნოს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, რათა მეცნიერება მზად შეხვდეს ეკონომიკური განვითარების იმ დონეს, როდესაც ქართულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროდუქციას გაუჩნდება ბაზარი და პირდაპირი დამფინანსებელიც.

უნდა აღინიშნოს იმის გათვითცნობიერების აუცილებლობა, რომ სიმდიდრე ადამიანების ტვინშია (აზროვნებაში) და არ არის საჭირო ხელალებით ხაზგასმა, რომ ქვეყანა მდიდარია, როცა აქვს ნავთობი, გაზი, წყალი და სხვა. უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ კარგად მანამდე, სანამ არ დავეუფლებით ცოდნის ეკონომიკას.

საკითხის ასეთი განხილვისას იქმნება იმის აუცილებლობა, რომ შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციის პირობით, პოსტკომუნისტურ საქართველოში დადგინდეს სპეციალისტებზე მოთხოვნის შესაბამისი გამოშვების ოპტიმალური სტრუქტურა ცივილიზებულ სახელმწიფოთა შესაბამისად. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ჩაატაროს სპეციალური კვლევა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, გაანალიზდეს და შეფასდეს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის მდგომარეობა სპეციალობების მიხედვით.

ამის რეალური ბაზა შეიქმნება მაშინ, როცა ფუნქციონირებას დაიწყებს მეცნიერებისა და განათლების ერთიანი თვითორგანიზებადი ეკონომიკური სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის დადგინდეს, თუ როგორი და რა რაოდენობით სჭირდება ქვეყანას სპეციალისტები, როგორ უნდა ამადლდეს ქვეყანაში განათლების დონე, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ყველაფერ ამას დამოუკიდებელ საქართველოში მეცნიერების ეკონომიკა დაარეგულირებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩარეჟიშვილი ლ., სარჩიმელია რ., მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთიანი ეკონომიკური სისტემის შესაძლო ფუნქციონირების სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში, ჟ. “მაცნე” ეკონომიკის სერია, N4, 2001, ტომი 9, გვ. 224-241.
2. ფრანგიშვილი ი., სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები, ჟ. “კომენტარი”, 1, 2003, გვ.35-63.
3. არვეაძე ნ., მიშინა ვ., კონკურენტუნარიანობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, ტ. III, თბილისი, “მეცნიერება”, 2003, გვ. 515-525 .
4. გუგუშვილი პ., ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები, თბილისი, “განათლება”, 1981.
5. გოგინიაშვილი ფ., წერილები, მოგონებები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1993.
6. სარჩიმელია რ., ჩარეჟიშვილი ლ., საქართველოს მოსახლეობის საგანმანათლებლო საკვალიფიკაციო მოძრაობის შემოქმედებითად წარმართვისათვის, თსუ სოხუმის ფილიალის ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბილისი, 2000, მოხსენებათა თეზისები, გვ. 231-232.
7. ვ. სართანია, განათლების ეკონომიკა, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.
8. განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCED-97), საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2006.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მასალები, თბილისი, 2009.

*Roland Sarchimelia*

*Doctor of Economic Sciences, Professor*

*Lia Charekishvili*

*Academic doctor of Economics*

## **PROBLEMS OF SCIENCE AND EDUCATION ECONOMY IN GEORGIA**

### **Summary**

There is a view on inevitability of uniting science, education and scientific-technological progress (STP) in knowledge economy. But there also is one notice: further development of STP in Georgia is now impossible due to the lack of needed funds. Since the 21<sup>st</sup> century science is partly united with education in post-soviet Georgia. In 1995-2005 the portion of humanitarian scientists in the structure of all Georgian scientists exceeded the portion of scientists in technical field. The number of scientific workers has declined dramatically in the recent years. As revealing potential in this field has become increasingly difficult and less funds are assigned by the state, we are facing massive brain-drain. Other problems to mention are the closure of many educational institutions, low salaries etc.

Secondary and higher educational institutions are characterized. For comparison deep differentiation of American educational system is given. One of the reasons for high educational level in Georgia is that right personnel are provided at managing as well as pedagogic levels. The main aim is to get equalized with international standards.

Georgian entrepreneurs have no funds for financing scientific researches. The formation of self-organizing economic system for science and education is seen as a hope for brighter future. This therefore is connected with the STP, the regulator of which is science economy.

**აუდიტი და კონტროლი**

*ციალა ბენაშვილი*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

**შიდა აუდიტისა და კონტროლის როლი დარგის ბანკოთმშენებლობაში  
(საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მსახურში)**

ნებისმიერი დარგის წარმატებით საქმიანობისათვის, აქტივების შენარჩუნებისა და ზრდისათვის, მომგებიანობის ასამაღლებლად საჭიროა არსებობდეს მწყობრი და გამართული მართვის მექანიზმი და სისტემატური კონტროლი მასზე. ასეთი სახის ქმედით მექანიზმად მიხნეულია შიდა სამეურნეო კონტროლის განმახორციელებელი სამსახური შიდა აუდიტის სახით. ქვეყანაში მოქმედი ნორმატული აქტები საწარმოს ხელმძღვანელობას აკისრებს პასუხისმგებლობას შიდა კონტროლის ფუნქციის განხორციელებაზე, მაგრამ მმართველ აპარატს ყოველთვის არა აქვს საშუალება ოპერატიულად მიიღოს ან მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორცაა საწარმოს ეკონომიურობა, მწარმოებლურობა და ეფექტიანობა. ასევე მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, ორგანიზაციის შიდა პოლიტიკისა და მისგან გამომდინარე შედეგების შედარებაზე, მისი ეფექტურობისა და ადეკვატურობის ხარისხის შეფასებაზე.

ამ ფუნქციის განხორციელების მიზნით ორგანიზაციის ხელმძღვანელობა საწარმოში აფუნქციონებს ორგანიზაციის ორგანულ ნაწილს – საწარმოში მოქმედი განყოფილებებიდან დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს შიდა აუდიტის სახით, რომლის ძირითადი ფუნქციაა ორგანიზაციის შინაგანი მართვის სტრუქტურის შემოწმება, მისი მართვის პროცესებისა და კონტროლის სისტემის როგორც შექმნა, ისე ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად რეკომენდაციების შემუშავება. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, შიდა კონტროლის სისტემა გულისხმობს იმ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომელიც დაადგინა მეურნე სუბიექტის ხელმძღვანელობამ თავისი ამოცანების მისაღწევად, ხელმძღვანელობის პოლიტიკის და აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების დროულად აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად და სამელო ფინანსური ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად.

შიდა აუდიტორები იმ მეურნე სუბიექტის თანამშრომლები არიან, რომლის სტრუქტურულ ქვედანაყოფსაც ამოწმებენ. ეს სამსახური დაკომპლექტებული უნდა იყოს კვალიფიციური, მაღალი ავტორიტეტის მქონე და სანდო სპეციალისტებით, რომლებიც გამოირჩევიან კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის მაღალი დონით; გააჩნიათ შიდა აუდიტის ჩატარების გარკვეული უნარჩვევები; კარგად იცნობენ ამ საწარმოს სპეციფიკას, მის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას; ფლობენ აუდიტის ჩატარების ტექნიკასა და მეთოდებს; შეუძლიათ განაზოგადონ და ანალიზი გაუკეთონ სააღრიცხვო-ეკონომიკურ ინფორმაციას; შემოწმების და მოკვლეული მასალების საფუძველზე ჩამოაყალიბონ სრულყოფილი დასკვნები და რეკომენდაციები. მიზანშეწონილია, ეს სამსახური დაკომპლექტდეს უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე პირებით, რომლებსაც აქვთ ბუღალტრულ, აუდიტორულ და ეკონომიკურ სფეროებში მუშაობის გამოცდილება.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ჯანდაცვის მიზნებისათვის გაწეული დანახარჯების სიდიდე ფულად გამოხატულებაში თითქმის 2.6-ჯერ გაიზარდა, მაგრამ არ შეცვლილა დანახარჯების დაფინანსების წყაროების წილი მთლიან მოცულობაში. კვლავინდებურად დიდი ადგილი უკავია

კერძო სექტორიდან დაფინანსებას, ან სხვაგვარად, „ჯიბიდან გადახდებს“. მისი წილი თითქმის ყოველწლიურად 72%-ს აღწევს, რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს არა მარტო ევროპის რეგიონისათვის (საშუალოდ 25%) არამედ მნიშვნელოვნად აჭარბებს დსთ-ს ქვეყნების საშუალო დონეს (დაახლოებით 46%);

დაახლოებით 20%-ის ფარგლებში მერყეობს სახელმწიფო დაფინანსების ხვედრი წონა; დანარჩენი 7-9% კი დონორების წილად მოდის. დონორების მიერ გადახდილი სახსრებიდან ნაწილი წარმოადგენს გრანტს, ნაწილი კი პროცენტთან სესხს, რომელიც ტვირთად აწევა მომავალ თაობებს. ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2001-2007 წლებში 7.8%-დან 8.2%-მდე გაიზარდა;

სახსრების გამოყოფა თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ არ შესრულდა ის მიზნები, რომლისთვისაც სახსრები გამოიყო. ეს კი მონიტორინგისა და კონტროლის გზით ირკვევა. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში თითქმის არ არსებობს გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე მონიტორინგი და კონტროლი. ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში წლების მანძილზე არ არსებობს შიდა აუდიტის სისტემა. გარე აუდიტორულ შემოწმებებს სამინისტროს სისტემის ცალკეულ დაწესებულებებში კი ფრაგმენტული ხასიათი აქვს.

ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა თვითონ მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს, მაგრამ არც მათი გამოყენება ხდება.

**ცხრილი 1. სახელმწიფო პროგრამები და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წლების მიხედვით**

	2005	2006	2007	2008
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა	8	13	10	22
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს	0	0	4	1
მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორთა რაოდენობა, რომელიც ინტეგრირებულია ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემაში	0	0	84	9
მონიტორინგისა და შეფასების ადეკვატური სისტემის მქონე პროგრამების წილი ჯანდაცვაზე გაწეულ მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში	0%	0%	68%	1%

*წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტი.*

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2007 წლამდე სახელმწიფო პროგრამები (ფაქტობრივად, ჯანდაცვის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტები) არ შეიცავდა არც ერთ ინდიკატორს, რომლითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მონიტორინგი და შეფასება და განსაზღვრულიყო პროგრამის ეფექტიანობა, დახარჯული სახსრების ეფექტიანობა. 2007 წელს 10 დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამიდან 4 პროგრამა (რომლის წილადაც მოდიოდა ჯანდაცვის სექტორზე გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების დაახლოებით 68%) საერთო ჯამში 96 ინდიკატორს ითვალისწინებდა, რომელთა 84% შეტანილი იყო ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის რუტინულ ნაწილში, რაც უდიდეს წინ გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა. ამის მიუხედავად, მონაცემები ამ ინდიკატორებზე სწორად არ შეგროვდა და გაანალიზდა. ეფექტიანობის საბოლოო

ანალიზი არ იქნა ჩატარებული და სახელმწიფო პროგრამების შესრულების ოფიციალური ანგარიში არ იქნა წარმოდგენილი 2008 წლის განმავლობაში. 2008 წელს მხოლოდ ერთი პროგრამა მოიცავდა მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს, რომლის წილაც სახელმწიფო ასიგნებების მხოლოდ 1% მოდიოდა. ეფექტიანობის საბოლოო ანალიზი არც ამჯერად ჩატარებულა.

დანახარჯების ეფექტიანობის ანალიზისა და შიდა აუდიტის პრაქტიკულად არარსებობა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმ უარყოფით შედეგებს, რაც ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებობს:

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ რომ სახელმწიფო ჯანდაცვის პაკეტი და/ან სამედიცინო ვაუჩერით ღარიბად დარეგისტრირებული მოსახლეობის დაფარვის საკითხი არ არის გადაწყვეტილი. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს ღარიბად დარეგისტრირებული მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები. ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა. ბავშვთა სიკვდილიანობის დონემ 2001 წლიდან 2007 წლამდე ყოველ 100000 ცოცხალშობილზე 20-დან 14-მდე დაიკლო. მაგრამ ჯერ კიდევ მისაღწევია „ათასწლეულის განვითარების“ სამიზნე მაჩვენებელი (7 ყოველ 100000 ცოცხალშობილზე). დედათა სიკვდილიანობა 2001 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში 58.7-დან 20.2-მდე შემცირდა (სამიზნე მაჩვენებელია 12.3 ყოველ 100 000 ცოცხლადშობიარზე).

ჯანდაცვის სისტემის წარმატებული ფუნქციონირების საბოლოო შემაჯამებელი მაჩვენებელია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი. სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი ძლიერ დაეცა 90-იან წლებში, თუმცა შემდგომ წლებში ადგილი აქვს ამ მაჩვენებლის მატებას. 2005 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 74 წელს, ხოლო 2006 წელს მოიმატა 75.1-მდე. ეს უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი (78.5 წელი), ოდნავ აღემატება ჯანმოს ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს (74.6 წელი), და მნიშვნელოვნად აღემატება დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს 2005 წელს (67.0 წელი: 61.6 წელი მამაკაცებში და 72.9 წელი ქალებში) (წყარო: ჯანმო, ევროპის ბიურო, ჯანმრთელობა ყველასათვის, მონაცემთა ბაზა, 2008 წლის ივლისი).

მიგვაჩნია, რომ შიდა აუდიტის გამართული სისტემის ჩამოყალიბება ჯანდაცვის სფეროში ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების უფრო ეფექტიან გამოყენებას ამ დარგში და შესაბამისი მაჩვენებლების (ინდიკატორების) მკვეთრად გაუმჯობესებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი <http://www.statistics.ge>;
2. ჯანდაცვის მსოფლიო ანგარიში. 2000წ. *Health systems: improving performance*. Geneva, World Health Organization, 2000 (<http://www.who.int/whr/2000/en>);
3. ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ინიციატივის განვითარება. უენევა, ჯანმო, 2001 (<http://www.who.int/health-systems-performance/ehspi.htm>);
4. “ჯანდაცვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები” (2007წ. მაისი)სმჯსდ სამინისტრო. [http://www.moh.gov.ge/ge\\_pdf/politika/TC-%20Reform-en.pdf](http://www.moh.gov.ge/ge_pdf/politika/TC-%20Reform-en.pdf);
5. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შეფასების კვლევა, 2009 პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი. მსოფლიო ბანკის დაფინანსება.

6. C.T. Horngren, W.T. Harrison, 2007, Accounting, Prentice-Hall, Inc., Upper Saddle River, New Jersey;
7. Management Accounting Quarterly on the World Wide Web:  
<http://www.imanet.org/ima/sec.asp?TRACKID=&cid=860&did=1167>
8. IFAC \_ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები” 2002, 2004.

*Tsiala Benashvili*

*Academical doctor of Economics*

**THE ROLE OF INTERNAL AUDIT AND CONTROL IN THE SECTOR  
DEVELOPMENT  
(A CASE OF HEALTH PROTECTION IN GEORGIA)**

**Summary**

It is generally recognized that if health systems throughout the world vary widely in their design, content, management and performance, - they share the same core goals of *good health, responsiveness to people's expectations and fair financing*. one of the main topics for the WHO European Ministerial Conference on Health Systems: “Health Systems: Health and Wealth” conducted in Tallinn in June 2008. The charter adopted at this conference (“Tallinn Charter”) commits member states to: **promote transparency and be accountable** for health system performance to achieve measurable results; To achieve this objectives it is necessary to develop system of internal audit.



**ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება**

*კატერინე მეყანაშვილი*

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი*

**ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები**

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მთავარ როლს სახელმწიფო ასრულებს. სოციალ-ეკონომიკური რეგულირების პრობლემებზე სახელმწიფოებრივი მეცნიერული მსჯელობა ჯერ კიდევ შუასაუკუნეების მეორე ნახევარში მიმდინარეობდა. მაგალითად, მერკანტილისტები ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრეები იყვნენ. ისინი ქვეყნის სიმდიდრის მთავარ მაჩვენებელად ოქროს რაოდენობას მიიჩნევდნენ. მხარს უჭერდნენ ექსპორტის წახალისებას და იმპორტის შეზღუდვას, ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალის საზღვარგარეთ გატანას.

XX საუკუნის 30-იან წლებში, ცივილიზებულ ქვეყნებში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური რყევის შემდეგ, ჯ. მ. კეინზმა საზოგადოებას საკუთარი თეორია წარუდგინა, სადაც მან მთლიანად უარყო სახელმწიფოს შესახებ კლასიკოსების შეხედულებები, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „კრიზისული“ თეორია, რადგან იგი ეკონომიკას დეპრესიულ მდგომარეობაში განიხილავს. კეინზიანური მოდელის უმთავრესი საკითხებია: ა) სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით გადაანაწილებული დიდი წილი; ბ) სახელმწიფო წარმოების ფართო ზონის შექმნა; გ) ეკონომიკური კონიუნქტურის სტაბილიზაციისათვის საბიუჯეტო-საფინანსო და საფინანსო რეგულატორების ფართო გამოყენება; დ) ციკლური რყევების ნეიტრალიზაცია; ე) ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებისა და დასაქმების მაღალი დონის სტიმულირება.

XX საუკუნის 70-იანი წლებისთვის სახელმწიფოს რეგულირების თვით-შესაძლებლობასა და ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას შორის მაინც წარმოიშვა ერთგვარი შეუსაბამობა. ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ კეინზიანური მოდელი მყარია მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის დროს. 70-იან წლებში, როცა კვლავწარმოების პირობები მკვეთრად გაუარესდა, უ. ფილიპსმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება ერთდროულად ადგილი ჰქონდეს ინფლაციასაც და დასაქმების ზრდასაც. ეს წინააღმდეგობრივი პროცესია, მაშასადამე, კრიზისიდან გამოსვლის კეინზიანური გზა არ არის სრულყოფილი, ზოგიერთ შემთხვევებში, იგი კიდევ უფრო ამწვავებს ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო ეკონომიკური რყევა უფრო მწვავეს ხდის სოციალურ პრობლემებს, რამაც თავისთავად მოითხოვა კეინზიანური მოდელის შეცვლის აუცილებლობა.

დღესდღეობით პრაქტიკულად ყველა ეკონომისტი იზიარებს, რომ სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბოლოოდ როგორ და რა ფორმით უნდა ხორციელდებოდეს ეს ფორმა დღესაც სადავოა.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობის უფრო ზუსტი მიზეზები კი შემდეგია: 1. შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება, თუ არ არის განსაზღვრული მისი ტერიტორიული სივრცე. ქვეყნის ტერიტორია კი სახელმწიფოს მიერ არის გარანტირებული და უზრუნველყოფილი. საიმედო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ერთიანი ეკონომიკური, საინფორმაციო და სამართლებრივი სივრცის გარეშე ვერ იარსებებს წარმატებული ეკონომიკა. ხოლო ბაზარს, როგორც წესი, არ შეუძლია დამოუ-

კიდებლად უზრუნველყოს ხსენებული პრინციპები. აღსანიშნავია, სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სუბიექტების საერთაშორისო კავშირების სტიმულირებასა და მსოფლიო ბაზარზე მათი ინტერესების დაცვაში. 2. ერის განვითარებისა და სტრატეგიული ინტერესების განხორციელების მთავარი მატარებლების მორალური, ეთიკური და ფსიქოლოგიური სივრცის ფორმირება და მხარდაჭერა. სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებების განსაზღვრაზე ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მენტალიტეტი, მისი ფუნდამენტური სულიერი და სოციალური პარამეტრები. სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესის მიერ ამ ფასეულობების პატივისცემას, რადგან მათი იგნორირება საბოლოო ჯამში გამოიწვევს ცალკეულ სოციალურ პროტესტებსა და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ შეთავაზებული ეკონომიური ფორმაციის უკუგდებას. 3. ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს ეკონომიკურ ინტერესთა ბალანსი. დაუშვებელია სახელმწიფო დაემორჩილოს ცალკეული სოციალური ჯგუფის ვიწრო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტერესებს. 4. აუცილებელია ეკონომიკის მიზნების ინსტიტუციური განსაზღვრა. ამასთან, იმ ნეგატიური გამოვლინებების სახელმწიფოებრივი კორექტირება, რომელიც გამოწვეულია გაფართოებული კვლავწარმოების კანონებით, კვლავწარმოების ფაზებს შორის არსებული ციკლური დისპროპორციებით, ასევე დისპროპორციებით მოთხოვნა-მიწოდებას შორის. მსოფლიოში განხორციელებული ყველა ეკონომიკური რეფორმა მიმართული იყო კვლავწარმოებაში არსებული დისპროპორციის დაძლევისაკენ და მისთვის აუცილებელი ქმედითი მექანიზმების შექმნაზე. 5. აუცილებელია ინფრასტრუქტურის დინამიური განვითარება, რაც თანაბრად სასარგებლოა როგორც ბიზნესის, ასევე შიდა მეურნეობისათვის. 6. აუცილებელია ინსტიტუციური გარემოს როგორც სტაბილური, ისე ლეგიტიმური და დინამიური განვითარება.

საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპზე მიზნები ყოველთვის ერთნაირი ვერ იქნება და იგი მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. კერძოდ კი, უნდა ვიცოდეთ როგორია: ეკონომიკის განვითარების საერთო დონე; მისი არსებული და სასურველი სტრუქტურა; „შრომის საერთაშორისო დანაწილების ზეგავლენის დონე; ქვეყანაში სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. განსაკუთრებით უნდა გავითვალისწინოთ იმ ქვეყნის მიზნები, რომელიც არამყარ გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება”<sup>2</sup>. ამასთან, მიმდინარე სტრატეგიული მიზეზები უნდა განვსაზღვროთ დროისა და სივრცის მიხედვით. ბუნებრივია, უნდა მოვახდინოთ ეკონომიკური მიზნების კონკრეტიზაცია და ერთმანეთში არ უნდა ავუროთ ეკონომიკური მიზნები და საშუალებები. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების უმთავრესი მიზანი ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა და არსებული წყობილების გამყარებაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, ეს პრობლემები ურთიერთგანპირობებულია და ცალ-ცალკე სხვა მიზნებისგან დამოუკიდებლად ვერ მიიღწევა.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების მასშტაბებზე, ინსტრუმენტსა და ეფექტურობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ის ამოცანები, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. ასევე ქვეყნის განვითარების დონე, რომელიც შეასძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირებისას. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გამოცდილება და მეცნიერული კვლევები, რომელიც მიმართულია საბაზრო მეურნეობის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის მცდელობისკენ. ბოლო სამი-ოთხი ათწლეულის მანძილზე შეიცვალა რეგულირებადი ეკონომიკის სფეროს მეცნიერული კვლევების ხასიათიც და მიმართულებაც. „თუ 50-იან

<sup>2</sup> Junger. E. Der Arbeiter. www. arctogaia.com. B, 1985.c. p.8.

წლებში განიხილებოდა საკითხი „რეგულირებადი იყო ეკონომიკა თუ არა?“, მოგვიანებით კი – „როგორი უნდა იყოს რეგულირების დონე?“ და „რა მიზნით, მიმართულებით და საშუალებებით უნდა განვახორციელოთ რეგულირება?“<sup>3</sup>

XX საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს შემოსავლები უფრო მაღალი ტემპით იზრდება ვიდრე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეპ) ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლები. დღესდღეობით კი საპირისპირო ტენდენციაა, რადგან გადასახადების ზრდა სამეწარმეო საქმიანობის მოტივაციასა და ინვესტიციების სტიმულზე ნეგატიურად მოქმედებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იურიდიული და ფიზიკური პირების გადასახადების ზრდასთან ერთად დაქირავებული პირების საგადასახადო წნეხიც შეუძლებელია უსასრულოდ გრძელდებოდეს. ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლების პირობებში სახელმწიფო შემოსავლები შესაძლებელია გაიზარდოს გადასახადების ზრდის გარეშეც. არსებობს სახელმწიფოს შემოსავლების ზრდის რამდენიმე პირობითი ზღვარი: ა) სამეწარმეო საქმიანობისთვის საკმარისი მოტივაციის ზღვარი; ბ) დაქირავებული პირების დაბეგერის სოციალური ზღვარი; გ) ეპ-ს ზრდის ზღვარი.

ასევე შემოსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრების შესაძლებლობები. სახელმწიფო სექტორმა არ შეიძლება ახალ-ახალი პოზიციები დაიკავოს ეკონომიკის საკვანძო დარგებში და ამით შეზღუდოს კერძო მესაკუთრეთა ინტერესები. თვითდაფინანსება ხორციელდება, როგორც სახელმწიფოს მიერ სანქცირებული მოგების გამოყენების ერთ-ერთი ფაქტორი. ამასთან, მოგების ათვისების საშუალებები და მოცულობა დამოკიდებულია საწარმოო ციკლის ფაზაზე, რომელშიც იმყოფება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. სახელმწიფოს თვითდაფინანსების რეგულირების პოლიტიკა დამოკიდებულია (ეკონომიკური ვარდნის დროს) ინვესტიციების სტიმულის ხელოვნურად გაზრდის საშუალებაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ქმედებების განმსაზღვრელი საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობაა, თვითდაფინანსების შემადგენელი გადაუნაწილებელი მოგებაა. თუმცა გადაუნაწილებელი მოგების ზრდის წახალისების შესაძლებლობები (დივიდენდების ხარჯზე) ასევე არაა განსაზღვრული. „ამ ზღვართან აქციონერთა ინტერესები დგას. მაშასადამე სახელმწიფო რეგულირების საშუალებების საფინანსო უზრუნველყოფის საჭიროება ზუსტად მაშინ იზრდებოდა, როდესაც საფინანსო საშუალებების მობილიზაციის შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი ან შეზღუდულია სახელმწიფო დაფინანსება“<sup>4</sup>.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების რეგულირების უკვე ხსენებული შესაძლებლობა პირველ რიგში განპირობებულია სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის მესაკუთრეთა ინტერესების შეუთავსებლობით. კერძო კაპიტალი სახელმწიფო პროგრამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ სახელმწიფო მას გარანტიას მისცემს, რომ კერძო კაპიტალის მესაკუთრის მოგება იმაზე მეტი იქნება, ვიდრე პროგრამის იგნორირების შემთხვევაში.

სახელმწიფო რეგულირების ძირითადი პარამეტრებია: 1. ეკონომიკური ციკლი; 2. ეკონომიკის დარგობრივი და რეგიონული სტრუქტურა; 3. კაპიტალის დაგროვების პირობები; 4. დასაქმება; 5. ფულის მიმოქცევა; 6. საგადასახადო ბალანსი; 7. ფასები; 8. კონკურენცია; 9. სოციალური ურთიერთობები და უზ-

<sup>3</sup> Гайдар Е. Экономика переходного периода. 2004. С.3.

<sup>4</sup> Богиния Д. Государственное регулирование переходный процессов. ж. Экономика Украины. №5. Киев, 1999 с. 22.

რუნველყოფა; 10. კადრების მომზადება-გადამზადება; 11 ეკოლოგია; 12. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კრიზისების და დეპრესიების დროს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მოთხოვნის, მომსახურების, კაპიტალდაბანდებისა და დასაქმების სტიმულირებისაკენ. ამისათვის კერძო კაპიტალს სთავაზობენ დამატებით ფინანსურ შეღავათებს, ასევე, იზრდება სახელმწიფო ხარჯები და ინვესტიციები. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდის დროს შესაძლებელია წარმოიქმნას არასასურველი ტენდენციები – სასაქონლო მარაგების კლება, იმპორტის ზრდა და საგადამხდელო ბალანსის გაუარესება, სამუშაო ძალაზე არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ზრდა და, აქედან გამომდინარე, ხელფასებისა და ფასების დაუსაბუთებელი ზრდა. ასეთ მდგომარეობაში რეგულირების ამოცანაა – მოთხოვნის, კაპიტალდაბანდებათა და წარმოების ზრდის შეჩერება, რათა შენედე წარმოებისა და კაპიტალის გადაჭარბებული დაგროვება.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი პარამეტრი კაპიტალის დაგროვებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოგების მიღება და კაპიტალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. სხვადასხვა დროს ყველა ინვესტორისათვის, „...ცალკეული ჯგუფებისათვის, თუნდაც რეგიონისათვის დამატებითი სტიმულისა და საშუალების შექმნით მარეგულირებელი ორგანოები დადებითად ზემოქმედებენ ეკონომიკურ ციკლსა და ეკონომიკის სტრუქტურაზე“<sup>5</sup>.

დასაქმების რეგულირება საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით – ეს არის სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა. აღნიშნული თანაფარდობა უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკის მოთხოვნას. თუმცა თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არ უნდა მივყავდეთ შრომის ანაზღაურების დაუსაბუთებელ გაზრდამდე, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე. „ასევე არასასურველია უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, რასაც სამომხმარებლო მოთხოვნისა და საგადასახადო შემოსავლების კლებისკენ, გადასახადების ზრდისკენ და საშიშ სოციალურ შედეგებამდე მივყავართ“<sup>6</sup>.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გადასაჭრელი პრობლემის დონითა და სირთულით, რადგან ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული იერარქია: კომპანია, რეგიონი, დარგი, ეკონომიკის სექტორი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურება); მთლიანად მეურნეობა; გლობალური (სოციალური ურთიერთობები, ეკოლოგია); ზეეროვნული (ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან), ეკონომიკის რეგულირებისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რეგულირების ადმინისტრაციული და ეკონომიკური საშუალებები:

